საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის დეპარტამენტის ერთი წლის ანგარიში

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ორგანიზებით, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ვებგვერდი:

- დასრულდა მუშაობა ცენტრის ვებგვერდის, როგორც ერთიან გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მონაცემების ვებპორტალის, სტრუქტურასა და დიზაინზე და მიმნდინარეობს ვებგვერდის პროგრამულად გამართვა;
- ცენტრის მიერ მოხდა გარემოსდაცვითი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყებებზე მეტაინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, რომელიც განთავსდება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ვებბაზაში ცენტრის ვებგვერდზე;
- ცენტრის მიერ მოხდა გარემოსდაცვითი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციების (საგანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევითი ცენტრები/ინსტიტუტები, ლაბორატორიები/აკრედიტებული ლაბორატორიები, საკონსულტაციო ფირმები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა) შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, რომელიც განთავსდება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ვებბაზაში ცენტრის ვებგვერდზე;
- ცენტრის ინიციატივით მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და დოკუმენტების შეგროვება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, აგრეთვე გარემოსდაცვითი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. არსებული ინფორმაცია და დოკუმენტები განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე შესაბამისი თემატიკის ქვეშ და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის;

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა:

- ცენტრის ინიციატივით დაიწყო მუშაობა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნაზე, რომლის მიზანია, გააერთიანოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია და მონაცემები ერთ სისტემაში და გაამარტივოს ამ ინფორმაციასა და მონაცემებზე შერჩევითი წვდომა როგორც საჯარო უწყებებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის და შექმნას ერთიანი მომსახურების სივრცე როგორც ნებართვის ან ლიცენზიის მაძიებლისთვის, ასევე ანგარიშვალდებული მეწარმეებისთვის:
- ცენტრის კოორდინაციითა და სსიპ „საფინანსო ანალიტიკური სამსახურის“ ტექნიკური დახმარებით შეიქმნა გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების ელექტრონული სისტემა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მოთხოვნის საფუძველზე;

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული სისტემისა და გარემოსდაცვითი ანგარიშგების სისტემის ადმინისტრირების მიზნით, ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სასწავლო ტურში ბულგარეთში, რომლის მიზანიც იყოს ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ელექტრონული სისტემის მართვისა და ადმინისტრირების შესახებ;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს შორის მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზეც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ხელს შეუწყობს ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის პრინციპების ეროვნულ დონეზე განხორციელებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრმა მიმართა ევროკომისიის დახმარების ერთ–ერთ მექანიზმს (TAIEX) და ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის დანერგვის შესახებ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით ცენტრის წარმომადგენლები გაემგზავრებიან ბულგარეთში;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომდგენლები TAIEX–ის პროექტის ფარგლებში ბულგარეთის გარემოს სააგენტოს მიწვევით იმყოფებოდნენ ბულგარეთში სასწავლო ვიზიტით, რომლის მიზანიც იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვების, შეფასებისა და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან ინფორმაციისა და ანგარიშების გაზიარების კუთხით გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა;

კანონპროექტები „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“:

- მიმდინარე წლის თებერვლიდან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა“ გამართა 20(ოცი) საჯარო დისკუსია საქართველოს კანონის პროექტებზე „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომელსაც დაესწრო საკრებულოებისა და გამგეობების 366 (სამასსამოცდაექვსი) თანამშრომელი. აღნიშულ სამიზნე ჯგუფს წარედგინა კანონპროექტები და ამ კანონპროექტებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ვალდებულებები სამსჯელოდ და კომენტარებისა და შენიშვნებისთვის;
- ცენტრმა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით მოამზადა კანონპროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ანალიზი ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის მხრივ და შესაბამისი რეკომენდაციები მიაწოდა ნარჩენების მართვის სამსახურს;
- ცენტრის ინიციატივით მომზადდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის ანალიზი ორჰუსის კონვენციასთან მიმართებაში. წარმოდგენილი ინფორმაცია გადაეგზავნება წყლის რესურსების დაცვის სამსახურს კანონპროექტში გათვალისწინების მიზნით;
- ცენტრის ინიციატივით და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით მომზადდა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზი ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის მხრივ;

ღონისძიებები:

- ❖ ნიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 25 აპრილს ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ეროვნული შეხვედრა – გარემოსდაცვითი სანებართვო პოლიტიკა საქართველოში – არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები. შეხვედრის მიზანი იყო, წარმოეჩინა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ეროვნული სისტემის ხარვეზები ევროპის კანონმდებლობასა და საერთაშორისო მოთხოვნებთან მიმართებაში და განსაზღვრა სისტემის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯები, შეხვედრაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო კომპანიების წარმომადგენლები. კონფერენციაზე შემუშავდა რეკომენდაციები გარემოზე ზემოქმედები ნებართვების სიტემის გაუმჯობესების მიზნით, რაც დაეგზავნა ყველა მონაწილე მხარეს;
- ❖ მიმდინარე წლის 6 მაისს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) პროექტის, „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლოში“, ფარგლებში სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა გამოფენა – „მწვანე ეკონომიკა მდგრადი წარმოება და მოხმარება“ – რომლის მიზანი იყო მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაცია და საქართველოში არსებული კომპანიების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და სხვა ორგანიზაციების წარმოჩენა, რომლებიც თავიანთ სამუშაო პრაქტიკაში იყენებენ სუფთა წარმოებას და ხელს უწყობენ მწვანე ბიზნესის განვითარებას. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში წარმოებული ბიოპროდუქტები, ენერგოდამზოგავი მოწყობილობები, ნარჩენების მეორეული გადამუშავებით მიღებული პროდუქტები და ხელოვნების ნიმუშები, ენერგოეფექტური შენობების ფოტომასალა, ასევე საგანმანათლებლო პროგრამები და პროდუქტები, რომლებიც ემსახურებიან საქართველოში მწვანე ეკონომიკის კუთხით ცნობიერების ამაღლებას;

ელექტრონული სერვისები:

გარემოსდაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებული და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით ცენტრა შეიმუშავა ელექტრონული სერვისები, როგორიცაა:

- ❖ გარემოსდაცვით სფეროში ახალი კანონის მიღების, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების და ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა;
- ❖ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა;
- ❖ გარემოსდაცვით თემაზე სემინარის, ტრენინგის, კონსულტაციის, საჯარო დისკუსიის და სხვათა ელეტრონულად მოთხოვნა;

- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების ელექტრონულად მიღება და შესაბამისი რეაგირება;
- გარემოსდაცვითი კანონდარღვევის შესახებ შესაბამისი უწყებისათვის ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების ხელშეწყობა და კოორდინაცია.

წარმოდგენილი ელექტრონული სერვისები ხელმისაწვდომი იქნება ცენტრის ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული მხარისათვის;

მონაცემთა ბაზები, რუკები, ინფოგრაფიკები:

- ცენტრის ინიციატივით დაიწყო მუშაობა გარემოზე ზემოქმდების ნებართვების ინტერაქტიულ რუკაზე, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერზე;
- ცენტრმა დაასრულა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ბაზის განახლება (2014 წლის ჩათვლით), რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;
- ცენტრმა დაასრულა მუშაობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების 2014 წლის ფაილების მოწესრიგებაზე და სტრუქტურიზაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებრუკისათვის, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;
- ცენტრმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავა სტაციონარული წყაროებიდან ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში გავრცელებისა და გადატანის რუკის მატრიცა და სტრუქტურა ვებრუკის შექმნის მიზნით, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
- ცენტრის ინიციატივით დაიწყო მუშაობა ინფოგრაფიკების შემუშავებაზე, რომელიც წარმოადგენს რთული ინფორმაციისა და მონაცემების გრაფიკულად გამოსახვის ვიზუალურ საშუალებას
    - ✓ შემუშავებულია დაცული ტერიტორიების, ნარჩენების, გარემოსდაცვითი კონტროლისა და აღსრულების და სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლები ცენტრის“ 1,5-წლიანი მუშაობის შესახებ ინფოგრაფიკები, რომლებიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;
- ცენტრის ორგანიზებით შეიქმნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ბაზა, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე შესაბამისი თემატიკების ქვეშ;
- ცენტრის ორგანიზებით შეიქმნა გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ორმხრივი შეთანხმებების ბაზა, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებვერდზე;
- ცენტრის ინიციატივით დაიწყო ანალიზური რუკების შემუშავება. აღნიშნული ინიციატივის მიზანია, საზოგადოების მაღალი ინტერესის მქონე საკითხებზე გასაგებ ენაზე მომზადდეს აღიშნული რუკები. ამ ეტაპზე მომზადებულია მდინარე ყვირილასა და მდინარე კაზრეთულას ანალიზური რუკები, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორია ამ მდინარეებში მანგანუმისა და სპილენძის კონცენტრაციები

და რამდენად აჭარბებს ის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ქიმიური ელემენტების მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს;

- ❖ ცენტრის ინიციატივით და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურთან თანამშრომლობით დაიწყო რუკების შემუშავება. მომზადდა ჰაერის ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვის შედეგების ამსახველი ბეჭდვითი რუკები საქართველოს შვიდი ქალაქისათვის, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;
- ❖ ევროკავშირის სტანდარტის ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების პროგრამის მიხედვით ცენტრმა შექმნა ჰაერის ხარისხის ერთჯერადი გაზომვის შედეგების ამსახველი ვებრუკა საქართველოს შვიდი ქალაქისათვის;
- ❖ ცენტრმა დაასრულა მუშაობა მის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ჩამონათვალის განახლებაზე, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;

სტატიები:

- ❖ ცენტრის მიერ მომზადდა სტატიები – „ნარჩენების მართვის კოდექსი", „ხარჯთ–სარგებლიანობის ანალიზი – მნიშვნელობა და პერსპექტივები" და „გენმოდიფიცირებული ორგანიზმები – საფრთხე თუ გამოსავალი" – ცენტრის ვებგვერდზე განთავსებისათვის და, შესაბამისად, საზოგადოების აღნიშნულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;

სამოქმედო გეგმა/სტარტეგია:

- ❖ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა სამოქმედო გეგმა ცენტრის მიერ განსახორციელებელი ქმედებების შესახებ (2003/4/EC დირექტივა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოების ხელმისაწვდომობის და 90/313/EEC დირექტივის გაუქმების შესახებ და 2003/35/EC დირექტივა გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობისა და 85/337EEC და 96/61/ EC დირექტივებში ცვლილების განხორციელების შესახებ, ვალდებულებების შესრულებისთვის). პირველ ეტაპზე, გარემოსდაცვითი ინფორმაციის განსაზღვრების კანონმდებლობაში შემოტანის მიზნით მომზადება და შესაბამის უწყებაში წარდგენილი იქნა „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების კანონპროექტი;
- ❖ ცენტრის ინიციატივით მომზადდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის" ონლაინ საკომუნიკაციო სტრატეგია შპს „Digital Avenue–ის" დახმარებით;

სასწავლო ტურები ჩეხეთსა და დანიაში:

- ❖ ევროპის გარემოდაცვითი სააგენტოს ფინანსური დახმარებით სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის" თანამშრომლებისათვის მოეწყო სასწავლო ტური დანიაში ევროპის გარემოს

დაცვის სააგენტოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემების, ანგარიშგების და სხვა პრაქტიკული საკითხების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;

- ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით და ჩეხეთის გარემოს დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ თანამშრომლებისთვის მოეწყო სასწავლო ტური ჩეხეთის გარემოს დაცვის სამინისტროსა და ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინფორმაციის სააგენტოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების, ბიზნესთან თანამშრომლობის და ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის გაცნობისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით;

კამპანიები:

- კამპანიის – „ნუ დატოვებ ნარჩენებს – იზრუნე გარემოზე“ – ფარგლებში ცენტრმა მოამზადა ნარჩენების შესახებ ინფოფაქტები, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;
- კამპანიის – „ნუ დატოვებ ნარჩენებს – იზრუნე გარემოზე“ – ფარგლებში ცენტრმა მოამზადა ნარჩენების შესახებ თემატური ინფორმაციები, როგორიცაა სეზონური რჩევები და რეკომენდაციები ნარჩენების შემცირებისათვის, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე;

ცენტრის ინიციატივითა და კოორდინაცივით განხორციელებული სხვა ღონისძიებები:

- ცენტრმა გაუწია კოორდინაცია 2010–2013 წწ. გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (SOER) მომზადებისათვის მონაცემების შეგროვებასა და გაუკეთა ორგანიზება;
- ცენტრის კოორდინაციით მიმდინარეობს სტაციონარული წყაროებიდან ჰაერში გაფრქვევების ელექტრონული ფორმის შემუშავება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურთან და ფინანსთა სამინისტროს სსიპ „ანალიტიკურ საფინანსო სამსახურთან“ თანამშრომლობით;
- ცენტრის ინიციატივით მიმდინარეობს გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და პროდუქტების შესახებ ანალიტიკური ანგარიშის მომზადება ცენტრის ვებგვერდზე განთავსებისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოებისათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

გარემოსდაცვითი განათლების დეპარტამენტის ერთი წლის ანგარიში

გარემოსდაცვითი განათლების დეპარტამენტის ორგანიზებით, გარემოსდაცვითი განათლების ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების ჩართვის მიზნით, გარემოსდაცვით საკითხებში განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- ✓ შემუშავდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა – 2014–2017 წწ;
- ✓ 2014 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა გარემოსდაცვითი განათლების საკოორდინაციო ჯგუფი;
- ✓ 2014 წლის მარტი–სექტემბერი – ცენტრისა და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ)“ თანაშრომლობის ფარგლებში განხორციელდა პროექტი – ,,გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში“. გაიმართა კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- ✓ სტუდენტებისთვის შემუშავდა ტრენინგმოდული – „ადამიანის ეკოლოგიური უფლებები“;
- ✓ 2014 წლის 10–11 დეკემბერს ეროვნული სატყეო პოლიტიკის ფარგლებში გაიმართა სატყეო განათლების თემატური ჯგუფის სამუშაო შეხვედრა;
- ✓ 2014 წლის 12 დეკემბერს ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო რადიო გადაცემაში – ,,მწვანე შოკოლადი“;
- ✓ მომზადდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშისათვის (SOE) თავი – ,,გარემოსდაცვითი განათლება“;
- ✓ 2014 წლის 18 ნოემბერს NBSAP–ის გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა თემატური განათლების ჯგუფის სამუშაო შეხვედრა;
- ✓ 2014 წლის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამიზნე ჯფუფებისთვის გაიმართა ლექცია/სემინარები და საინფორმაციო და სამუშაო ტიპის შეხვედრები გარემოსდაცვითი თემატიკით;

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ორგანიზებით, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის გაიმართა სემინარები გარემოსდაცვითი თემებზე: ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ნარჩენების მართვა. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 63 სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 123 სტუდენტი (როგორც ქართველი, ასევე ასევე უცხოელი), საქართველოს მასშტაბით – 1850 მოსწავლე (129 სკოლა). სემინარს ადამიანის უფლებების შესახებ („ორჰუსის კონვენცია“) გარემოს დაცვის სფეროში დაესწრო სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 133 წარმომადგენელი.

✓ აღინიშნა გარემოსდაცვითი ,,მწვანე დღეები”

- ❖ დედამიწის დღე – 22 აპრილი
- ❖ ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო დღე – 22 მაისი
- ❖ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე – 5 ივნისი
- ❖ ენერგოდაზოგვის საერთაშორისო დღე – 11 ნოემბერი

✓ განხორციელდა ეკოპროექტები

- ❖ 2014 წლის მარტი – სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა“ და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით ხორციელდება გარემოსდაცვითი პროექტი – ,,ეკოპროექტი“. პროექტის ფარგლებში ასევე გაიმართა სემინარები ორჰუსის კონვენციასა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ თბილისში, თელავში, ბათუმსა და ქუთაისში, სადაც მონაწილეობდა 21 სკოლის 140 მოსწავლე;

- 2014 წლის მაისი – ცენტრისა და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ეკოხედვის“ ორგანიზებითა და კომპანია ,,ბოშთან” და ,,ელიტ-ელეტრონიქსთან” თანამშრომლობით, სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდა ეკოპროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 500-მდე მოსწავლე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიმართა სემინარები გარემოსდაცვით თემატიკაზე და დარგვისა და დასუფთავების აქციები;
- 2014 წლის 12 აგვისტო – გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის – CENN-ის ორგანიზებით სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო ეკობანაკი ბულაჩაურში, სადაც ბანაკის მონაწილეები შეხვდნენ სსიპ „გარემოსდაცითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ წარმომადგენლებს და წაეკითხათ ლექცია გარემოსდაცვით თემებზე: – ,,ადამიანის უფლებები გარემოს დაცვის სფეროში – ორჰუსის კონვენცია”, ,,ბიომრავალფეროვნება“ და „დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა”. შეხვედრას ესწრებოდა 35 მოსწავლე.

✓ კონფერენციები

- 2014 წლის ივნისი – ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ეკოხედვის” ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 30 სტუდენტი. სტუდენტებს ცენტრის მიერ ჩაუტარდათ სემინარი ორჰუსის კონვენციისა და დაცული ტერიტორიების შესახებ და ასევე მოეწყო ეკოტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე;
- 2014 წლის 22 ნოემბერი – ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახალგაზრდა ბიოლოგთა ასოციაციაციის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა კონფერენციაში; ახალგაზრდები გაეცნენ ადამიანის უფლებებს გარემოს დაცვის სფეროში. მონაწილეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და კონფერენციის ბოლოს გადაეცათ სერტიფიკატები. სულ მონაწილეობდა 15 სტუდენტი;

✓ გაიმართა გარემოსდაცვითი კამპანიები

- 2014 წელს ცენტრმა მონაწილეობა მიიღო კამპანია დედამიწის საათი ,,60+“-ში (28.03.2014), გაიმართა სემინარები გარემოსდაცვით თემებზე რეგიონის ეკოკლუბების მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის
- 2014 წელს ცენტრის ორგანიზებით გაიმართა გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანია – ,,ბაღის ფრინველთა საათი“
- 2014 წელს ცენტრმა მონაწილეობა მიიღო კამპანიაში – ,,მწვანე მომავალი“. კამპანიის ფარგლებში ნერგები დაირგა სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

✓ ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგები

- 2014 წლის 18 თებერვალს ცენტრის ორგანიზებით, სამედიცინო კომპანია „მედესკორტმა“ სამინისტროს სხვადასხვა უწყების 13 თანამშრომელს ჩაუტარა ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე.
- 2014 წლის 20-22 მაისს ცენტრის ორგანიზებით, ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიმართა ტრენინგი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 15 ინსპექტორისთვის თემაზე – „ინსპექტირების პროცედურების და პრაქტიკული ასპექტების ზოგადი კურსი“;
- 2014 წლის მაისი – ივნისში ცენტრის ორგანიზებითა და „გერმანიის საერთაშორისო თანამაშრომლობის საზოგადოების (GIZ)“ ფინანსური მხარდაჭერით, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ თანამშრომლებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი – „ტყის მცველების შესაძლებლობების

გაძლიერების ზოგადი კურსი“ (3 ეტაპად); პროექტის ფარგლებში გადამზადდა ეროვნული სატყეო სააგენტოს 40 თანამრომელი (ცენტრალური და რეგიონული ოფისებიდან – 20 მეტყევე და საპილოტე ტრენინგკურსის ფარგლებში – 20 ტყის მცველი);

- სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ორგანიზებით, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)“ მხარდაჭერით, 14–ივლისიდან 21 ივლისამდე გერმანიაში (Feldafing, Bavaria, Germany) გაიმართა სასწავლო ტური (განათლება და ტრენინგების სისტემა სატყეო სფეროში). სასწავლო ტურში მონაწილობდნენ სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“, „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის და სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ წარმომადგენლებმა. სასწავლო ტური მიზნად ისახავდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, განათლებისა და ტრენინგების სისტემის გაცნობას სატყეო სფეროში როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. ტრენინგი გაიარა 22–მა ადამიანმა.
- სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“, ეროვნული სატყეო სააგენტოს ორგანიზებითა და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)“ მხარდაჭერით 2014 წლის სექტემბერ–ნოემბერში მოეწყო სასწავლო კურსი – „ახალგაზრდა სპეციალისტთა ტყის ტაქსაციაში გადამზადება“. სასწავლო კურსის ფარგლებში გადამზადდა 18 მონაწილე;
- 2014 წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ ორგანიზებითა და USAID პროგრამის – წყალშემკრები ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოში – მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგები სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ თანამშრომლებისთვის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებისა და ტყის მართვის საკითხების თემატიკით. პროექტის ფარგლებში გადამზადდნენ კოლხეთის, თბილისის, მაჭახელასა და მტირალას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები. სულ ტრენინგი გაიარა 84–მა რეინჯერმა;
- 2014 წლის 15–19 დეკემბერს, ცენტრის ორგანიზებითა და უშუალო მონაწილეობით, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება – GIZ–ის“ მხარდაჭერით, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ თანამშრომლებს დაბა ბაკურიანში ჩაუტარდათ ტრენინგი „როგორ გავხდეთ კარგი ტრენერი (TOT)“, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლების ტრენერებად გადამზადებას. ტრენინგში მონაწილეობდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს როგორც ცენტრალური აპარატის, ასევე ტერიტორიული ადმინისტრაციების 16 თანამშრომელი;
- 2014 წლის 18–23 დეკემბერს ცენტრის ორგანიზებით, სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან“ თანამშრომლობით, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)“ მხარდაჭერით, პროექტის – „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ – ფარგლებში სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ მცხეთა–მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონული სამსახურების თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდათ. ამ ეტაპზე ტრენინგი გაიარა 60–მა ტყის მცველმა.

სულ 2014 წლის განმავლობაში გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 2553 (ორი ათას ხუთას ორმოცდაცამეტი) ადამიანმა, მათ შორისაა 129 სკოლა, 1850 მოსწავლე, 123 სტუდენტი, 12 უნივერსიტეტი, 155 პედაგოგი, მუნიციპალიტეტის 133 წარმომადგენელი. გაიმართა 63 სემინარი. ტრენინგი გაიარა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყებისა და უნივერსიტეტის 270–მა თანამშრომელმა.